ვალტერ ლიუდე-ნოირათი

დიონიცის ხელისუფლება: მესამე რაიხის უკანასკნელი დღეები[1]

წარმოგიდგენთ ვალტერ ლიუდე-ნოირათის მემუარების ქართულ თარგმანს. ვალტერ ლიუდე-ნოირათი იყო გერმანელი მეზღვაური მეორე მსოფლიო ომში, რომელიც 1944– 1945 წლებში გერმანიის სამხედრო საზღვაო ძალების მეთაურის, კარლ დიონიცის (1891-1980) ადიუტანტად მუშაობდა. კარლ დიონიცი, ადოლფ ჰიტლერის ანდერძის მიხედვით, გახდა რაიხსპრეზიდენტი და 1945 წლის 1-დან 23 მაისამდე გერმანიას ის მართავდა. სწორედ, მისი ხელისუფლების შესახებ მოგვითხრობს ავტორი თავის მემუარებში. პირველი თავი ეთმობა 1944 წლის შემოდგომიდან 1945 წლის აპრილამდე გერმანიაში არსებული სამხედრო მდგომარეობის მოკლე აღწერას, ხოლო მეორე თავში ავტორი უკვე უშუალოდ კარლ დიონიცის შესახებ იწყებს მოყოლას.

ავტორის წინასიტყვაობა

1944 წლის სექტემბერში მე გავხდი „კრიგსმარინეს[2] მთავარსარდლის[3] ადიუტანტი“ და, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებული შევიქენი, საბოლოოდ მექცია ზურგი ფრონტისთვის. როდესაც ჩემს ახალ უფროსს, გროსადმირალ დიონიცს ჩავაბარე ანგარიში, ამგვარი დამოკიდებულება მასაც ღიად ვაგრძნობინე. მან სამართლიანად დამაშოშმინა, თუმცა ამის შემდეგაც მე ყოველთვის მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

პატიმრობაში ყოფნის დროსაც გულწრფელობის ამ პრინციპისგან არ გადამიხვევია. ინგლისურმა „Review-Board“-მა[4] 1947 წელს გადაწყვიტა ჩემი კლასიფიცირება „მილიტარისტად“,[5] ხოლო მის თავმჯდომარეზე მე ერთსაათიანი მოსმენის შემდეგ გულმართალი ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვე, რაც საბჭომ დიდსულოვნად გაითვალისწინა.

მე ვცადე, რომ წინამდებარე ნაშრომში ამ ხაზისთვის მეერთგულა.

* * *

მე არ მაქვს პრეტენზია, რომ „ისტორიას“ ვწერ. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე არა ამბის აბსტრაქტული ფორმით გადმოცემა, არამედ პირადი

[1] Walter Lüdde-Neurath, Regierung Dönitz: die letzten Tage des Dritten Reiches, Dürer-Verlag, Buenos Aires, 1951.

[2] Kriegsmarine – გერმანიის სამხედრო საზღვაო ძალები 1935-1945 წლებში.

[3] გერმ. Oberbefehlshaber der Kriegsmarine.

[4] ქართ. განხილვის საბჭო, ავტორი ინგლისურ ტერმინს იყენებს.

[5] დენაციფიკაციის პროგრამის ფარგლებში არსებობდა დამნაშავეების 5 ძირითადი კატეგორია: მთავარი დამნაშავეები, დამნაშავეები, ნაკლებად დამნაშავეები, თანამზრახველები და ბრალდებისგან განთავისუფლებულები. „მილიტარისტი“ მეორე კატეგორიაში შედიოდა (Plischke 1947: 824).

გამოცდილების პირველ პირში მოყოლა. შესაძლებლობა მქონდა, რომ ამ მონაყოლისთვის წყაროდ ჩემივე პროტოკოლი გამომეყენებინა, რომელშიც მოვლენების განვითარების პარალელურად ოფიციალურად ვიწერდი მომხდარს, მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსა და საუბრებს, რაც კი ჩემს უფროსს გერმანიის აღსასრულის დღეებში ეხებოდა.[6] ეს ჩანაწერები განვავრცე მესამე რაიხის უკანასკნელი, ხანმოკლე მეთაურის ადიუტანტის პოზიციაზე ყოფნისას მიღებული გამოცდილებითა და გაკეთებული დაკვირვებებით. გარდა ამისა, ჩემს განკარგულებაში იყო მომხდარის სხვა მონაწილეების გადმოცემები და ამასობაში გერმანიის დაცემის შესახებ გამოსული ლიტერატურა.

ამ ეპოქისა და მის შესახებ გამოსული ნაშრომების კრიტიკული ანალიზისთვის საჭიროა წყაროებისა და ლიტერატურის დეტალური განხილვა, რაც ისტორიკოსებს უნდა მივანდოთ. ასეთი მე არ ვარ. ჩემთვის მთავარი იყო ევროპაში მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ფაზის იმ თვალთახედვით გაშუქება, როგორადაც თავად მე ვხედავდი. ეს არის გერმანული ხელმძღვანელობის შეზღუდული თვალთახედვა, რომელიც უფრო და უფრო ვიწრო არეალში ექცეოდა და საბოლოოდ არა მხოლოდ გარე სამყაროსგან, არამედ გერმანიის დიდი ნაწილისგანაც ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა. ეს სურათი რომ არ დამემახინჯებინა, თავი ავარიდე იმ პერიოდის ნააზრევში მოგვიანებით შეძენილი ცოდნის ჩართვას. საკუთარ დასკვნებსა და დაკვირვებებს მხოლოდ მაშინ დავუთმე ადგილი, როცა ის საჭირო იყო დასმული საკითხების გასაგებად ან თუ ამას კონკრეტული მომენტისთვის ჰქონდა მნიშვნელობა.

ასე რომ, ვიმედოვნებ, იმ დაძაბულობით აღსავსე, საბედისწერო პერიოდის შესახებ მკითხველს სინამდვილესთან მიახლოებული მონაყოლი მივაწოდო, ხოლო მკვლევარს – წყარო ისტორიულ-ობიექტური შეფასებისთვის.

თავი I

1944 წლის შემოდგომიდან 1945 წლის აპრილამდე შთაბეჭდილებები ფიურერის შტაბში

1944 წლის 1-ელ სექტემბერს გროსადმირალ დიონიცთან, კრიგსმარინეს მთავარსარდალთან, გამოვცხადდი, როგორც მისი ახალი ადიუტანტი. მანამდე ის მე პირადად არ მიცნობდა; და მეც იგი სამხედრო ინსპექციების დროს მხოლოდ შორიდან მყავდა ნანახი.

ჩემი კარიერის განმავლობაში უფროს სამეთაურო შტაბებთან არაფერი საერთო არ მქონია და ამ მხრივ არც განსაკუთრებული მისწრაფება გამომიხატავს. მე მერჩივნა ფრონტზე დავრჩენილიყავი. თან ცოტა ხნით ადრე ჩაბარებული მქონდა სატორპედო კატარღის მეთაურობა – ძალიან მიმზიდველი პოზიცია,

[6] ამ ჩანაწერების ნახვა შესაძლებელია Bundesarchiv-ში: Tagebuch Regierung Dönitz (Korvettenkapitän Walter Lüdde-Neurath), RM 6/375, დამოწმებულია 22.01.2024, https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/XVYN2O5CU2SJMOUEVSEMDV5FP6BGBK6C (წიგნის სანახავად საჭიროა რეგისტრაციის გავლა).

რომელიც მე დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას მაძლევდა – და შიშის ზარს მცემდა მუდმივად ხმელეთზე მიჯაჭვულობა, რაც ადიუტანტის პოზიციას მოჰყვებოდა. ამიტომ სრულიადაც არ ვიყავი ამ განკარგულებით აღფრთოვანებული. თუმცა დიონიცმა ჩემი ოპოზიციური ქარით გაბერილი აფრები რამდენიმე სიტყვით ჩაფუშა და შემდეგ ეს მითხრა: „მე არ მსურს ჩემ გარშემო კარისკაცებისა და მსახურების ყოლა. მე არ მინდა თქვენგან **ჩემი** (გამუქება ავტორისეულია – კ.მ.) მოსაზრებების მოსმენა, არამედ მხოლოდ იმის მოსმენა მსურს, რასაც თავად **თქვენ** ფიქრობთ. თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ მე ყველაფერი მითხრათ, რაც თქვენს გულწრფელ შეხედულებას წარმოადგენს, მაშინაც კი, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ ავტორიტეტულ პირებს ან თავად მე განსხვავებული თვალსაზრისი გაგვაჩნია. ამისთვის მოვიყვანე ჩემთვის ამ პოსტზე ოფიცერი ფრონტის ხაზიდან. მაგრამ როგორც კი შევამჩნევ, რომ თქვენ მეპირფერებით ან თქვენი სიტყვების უკან სხვა მოტივები იმალება – პირდაპირ გაფრინდებით აქედან!“

ამით მან დამითხოვა და ჩემს წინამორბედს საშუალება მისცა, რომ ჩემი ახალი საქმიანობა აეხსნა.

14 დღის შემდეგ დიონიცს პირველად წავყევი ფიურერის შტაბში, კოდური სახელით “მგლის ბუნაგი“, რომელიც აღმოსავლეთპრუსიულ ზღვებს (იგივე მასურიის ტბებს – კ. მ.) შორის, პატარა ქალაქ რასტენბურგის სიახლოვეში, მეტყევის სახლ გიორლიცთან მდებარეობდა. მასიური და კარგად შენიღბული კომპლექსი კონცენტრულად სამ “შეზღუდულ სივრცედ“ იყო დაყოფილი, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთისგან იყო გამიჯნული და მხოლოდ შესაბამისი სპეციალური საიდენტიფიკაციო ბარათით იყო შესაძლებელი მათში მოხვედრა. შიდა სივრცე მოიცავდა მხოლოდ „ფიურერბუნკერს“ – საშუალო სიმაღლის ბეტონის კუბს – და „ლაგებუნკერს“.[7] შესვლა ნებადართული იყო მხოლოდ ჰიტლერის პირადი შტაბისა და SD-სგან[8] ჩამოყალიბებული პირადი დაცვისთვის, ასევე სხვა აუცილებელი თანამშრომლებისთვის. ის ყველა დანარჩენი პირისთვის მიუწვდომელი იყო, იმათთვისაც კი, ვინც მთელი წლის განმავლობაში შტაბში იყო დასაქმებული. ერთი ოფიცერი, რომელიც უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია იქვე, ვერმახტის სამეთაურო შტაბის ყაზარმაში ასრულებდა თავის მოვალეობას, მომიყვა, რომ ჰიტლერი ჯერ თვალითაც არ ენახა. ვინც შიდა სივრცეში პირველად შედიოდა, მანამდე უწევდა SD-ხელით სხეულის სრული ჩხრეკის გავლა. მეც ვიყავი დარიგებული, რომ ამ წმინდა ადგილას მოხვედრა მხოლოდ იარაღის გარეშე იყო შესაძლებელი და ამ წესის გაკონტროლება დაცვას ევალებოდა. ჩვენ, „ერის შეიარაღებულ ძალებს“,[9] მიღებული ზომები ბუნებრივია არ გვესიამოვნა, თუმცა, 20 ივლისის მოვლენების გათვალისწინებით, რეჟიმის გადმოსახედიდან ეს მაინც გამართლებული გვეჩვენა.[10]

---

[7] სიტყვა-სიტყვით: „სიტუაციის ბუნკერი“.

[8] Sicherheitsdienst – ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაცვის სამსახური, რომელიც შუცშტაფელს (SS-ს) ექვემდებარებოდა და ფუნქციურად ძალიან ახლოს იდგა გესტაპოსთან, იგივე საიდუმლო პოლიციასთან.

[9] გერმ. „Waffenträger der Nation“ – 1934 წელს ამ სათაურის წიგნი გამოსცა რაიხსვერის სამინისტრომ.

[10] იგულისხმება 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე განხორციელებული თავდასხმა „მგლის

აქამდე ჰიტლერი, ნებისყოფის განსაკუთრებული დაძაბვის წყალობით, მკვლელობის მცდელობის გავლენას არ იმჩნევდა, მაგრამ 1944 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე აფეთქებით გამოწვეული შოკის რეციდივით იტანჯებოდა. ის თავის ბუნკერს თითქმის საერთოდ აღარ ტოვებდა და სამხედრო სიტუაციის განხილვაც მის პირად ოთახში, ვიწრო წრეში დღეში, მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა. ასე გაილია დღეები, სანამ მე ჩემი ნაბრძანები ანგარიშის ჩასაბარებლად არ მიმიღეს.

ჰიტლერის გარეგნობით იმედგაცრუებული დავრჩი. ის უფრო პატარა იყო, ვიდრე წარმოდგენილი მყავდა, დადიოდა მოხრილი და თავისი სხეულით – განსხვავებით ცენზურის მიერ უფასოდ დარიგებული სურათებისა – უცერემონიო და მოუქნელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიშორებდი გარკვეულ მძლავრ გავლენას, რომელიც, ჩემი პირველი შთაბეჭდილებისა და მოგვიანო დაკვირვებების მიხედვით, გამოხედვიდან და ხმიდან მომდინარეობდა.

ჰიტლერის გარდა, მესამე რაიხის სხვა მმართველ პირებთანაც წარმადგინეს. ასე რომ, პირველ დღეებშივე პირადი აუდიენციით გავიცანი გიორინგი[11] და ჰიმლერი[12], კაიტელი[13] და იოდლი[14], ბორმანი[15] და უამრავი სხვა ადამიანი, რომლებიც ან ჰიტლერის მუდმივ გარემოცვას მიეკუთვნებოდნენ ან სამხედრო სიტუაციის განხილვისთვის შტაბში ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ ხოლმე.

ჩემი პირველი შთაბეჭდილებები ბუნებრივია ზედმეტად ეფემერული იყო იმისთვის, რომ შემონახვის ღირსი ყოფილიყო. ისინი მოგვიანებით არაერთ შემთხვევაში გადავაფასე კიდეც. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობა, კერძოდ ის, რომ "ფიურერისა და რაიხსკანცლერის" გარემოცვაში „მოქალაქეები" ფაქტობრივად არ მინახავს. ჩემთვის, როგორც კარიერული ჯარისკაცისთვისაც კი შეუძლებელი იყო არასამხედრო უნიფორმებისა და წოდების აღმნიშვნელი სამკერდე ნიშნების ზღვაში გზის გაკვლევა, თან სუფთა მოქალაქე სტენოგრაფებისთვისაც კი ერთნაირფორმიან ჩაცმულობა იყო გამოყოფილი.

შტაბში პირველი სტუმრობების დროს მე არ მქონია სურვილი, რომ "ხასიათის კვლევებისთვის" მომეკიდა ხელი. უფრო მეტად დაინტერესებული ვიყავი – ჩემი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების გვერდით – ომის მდგომარეობითა და იმ იმედებით, რომლებზე დაყრდნობითაც მოსახლეობა და ჯარისკაცები კვლავ ინარჩუნებდნენ ერთგულებას. ამ შემთხვევაში ასეთი სურათი დაიხატა:

ბუნაგში".

[11] ჰერმან გიორინგი (1893-1946) – მაღალჩინოსანი სამხედრო და პარტიის წევრი, ლუფტვაფეს მეთაური და რაიხსმარშალი.

[12] ჰაინრიხ ჰიმლერი (1900-1945) – მაღალჩინოსანი ნაცისტი, SS-ის (შუცშტაფელის) რაიხსფიურერი. მას ჩაბარებული ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკები.

[13] ვილჰელმ კაიტელი (1882-1946) – გერმანელი ფელდმარშალი და ვერმახტის უმაღლესი სარდლობის (Oberkommando der Wermacht – OKW) მეთაური.

[14] ალფრედ იოდლი (1890-1946) – გერმანელი გენერალობერსტი (შეესაბამება გენერალს აშშ-ს არმიაში) და ვერმახტის ოპერატიული შტაბის (Wehrmachtführungsstab) უფროსი.

[15] მარტინ ბორმანი (1900-1945) – მაღალჩინოსანი ნაცისტი და პარტიის კანცელარიის უფროსი, ფიურერის მდივანი.

განწყობა ჰიტლერის გარემოცვაში იყო პირქუში, მაგრამ არა სასოწარკვეთილი. ის მწვავე საფრთხეები, კერძოდ 1944 წლის მძიმე დარტყმები, – დასავლეთში წარმატებული შემოჭრა,[16] აღმოსავლეთში არმიათა ჯგუფ ცენტრის განადგურება,[17] 20 ივლისის მკვლელობის მცდელობა – რომლებიც რაიხის არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს ეტყობოდა უკვე თავიდან იყო აცილებული. შტაბში ახალ იმედს ეჭიდებოდნენ, რომელიც სამ რამეს ემყარებოდა:

1. მაღალჩინოსანი სამხედროების დიდი ნაწილის პროგნოზების საწინააღმდეგოდ, დასავლეთში მოხერხდა მოწინააღმდეგის შეკავება რაიხის მიწებამდე და მისთვის ერთიანი და იმ დროისთვის მზარდი სიძლიერის ფრონტის დაპირისპირება. მაჟინოს ხაზსა და დასავლეთის კედელს (იგივე ზიგფრიდის ხაზს – კ.მ.) თუ შევინარჩუნებდით, თან ზურგში რაინიც თუ გვექნებოდა, აქ არანაირი მყისიერი საფრთხე არ დაგვემუქრებოდა.

2. 20 ივლისის თავდასხმის წარუმატებლობის შემდეგ რეჟიმის პოზიცია და თვითშეგნება უფრო გამყარდა. შტაბში მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ აქტიური "ღალატისთვის" მზადმყოფი "შეთქმულთა" ჯგუფი კი არ გამოააშკარავეს, არამედ ამასთან ერთად ფართო წრეც დაშალეს, რომელიც პასიური წინააღმდეგობის ან უბრალოდ გულხელდაკრეფილების გამო "ტოტალური ომის საბოტაჟში" იყო "დამნაშავე". მეთაურობა დაგვპირდა, რომ ჯარის "გაწმენდითა" და შემცვლელი ჯარის[18] ჰიმლერისთვის ჩაბარებით, რასაც დასავლეთის ფრონტის რეორგანიზაციისთვის მკვეთრი ზომების მიღება მოყვა, გაიზარდა მზაობა როგორც შიდა, ისე საგარეო მტრების მოსაგერიებლად.

3. ოპტიმიზმის მთავარი მიზეზი მაინც იყო ბომბების ტერორის მალე დამთავრების იმედი. ის ემყარებოდა ჩვენი იმდროინდელი გამანადგურებლების[19] წარმოებასა და დაგეგმილ გადასვლას რეაქტიულ გამანადგურებლებზე.[20] წარმოება, რომელიც საჭიროების შესაბამისად კონცენტრირებული იყო ტანკების, ქვეითთა იარაღის, გამანადგურებლების, V-იარაღისა[21] და წყალქვეშა ნავების გამოშვებაზე, სრული სიჩქარით მიმდინარეობდა და ძირითადად მიწისქვეშ ხდებოდა, მტრის ბომბდამშენთა ესკადრებისთვის[22] მიუწვდომელ ადგილას. პროდუქციის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს სწორედ ყველაზე მძიმე ბომბების ტერორის დროს მივაღწიეთ: 1944 წლის ივლისში გამანადგურებლების წარმოებამ თითქმის 4000 ერთეულს მიაღწია; ყველაზე მაღალი თვიური კვოტა უკვე 1944 წლის დეკემბერში შევასრულეთ 37 წყალქვეშა ნავით. გამანა-

[16] იგულისხმება 1944 წლის 6 ივნისს მოკავშირეთა წარმატებული დესანტი ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, ნორმანდიაში.

[17] იგულისხმება 1944 წლის 22-23 ივნისს საბჭოთა კავშირის მიერ დაწყებული შეტევა, რომლის დროსაც განადგურდა არმიათა ჯგუფი ცენტრი (Heeresgruppe Mitte).

[18] ყველა გერმანელი ჯარისკაცი ერთიანდებოდა ან საველე არმიაში (Feldheer) ან შემცვლელ ჯარში (Ersatzheer).

[19] გერმ. Jäger (ინგლ. Fighter) – თვითმფრინავის ტიპი, რომელიც გამოირჩევა მცირე ზომით და რომლის მთავარი მიზანიც მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ჩამოგდებაა.

[20] Turboajäger (ინგლ. Jet-fighter ან მოკლედ Jet) – თვითმფრინავის ტიპი, რომელიც საფრენად რეაქტიულ ძრავას იყენებს.

[21] გერმ. Vergeltungswaffen (სიტყვასიტყვით შურისძიების იარაღი) – იგულისხმება V-1 და V-2 რეაქტიული რაკეტები.

[22] გერმ. Geschwader (იგივე ინგლ. Wing).

დგურებელთა წარმოება შემდგომ პერიოდშიც, 1944/1945 წლების მიჯნამდეც, თვეში საშუალოდ 2000 ერთეულს მოიცავდა.[23] ამ რიცხვების გათვალისწინებით, გასაგები ხდება ბატონი ზაურის, შეიარაღების სამინისტროში წარმოების დეპარტამენტის უფროსის სიტყვები, რომლებიც მან სრული თავდაჯერებულობით მითხრა, როდესაც საკუთარი თავი წარვუდგინე ამ სექტემბრის დღეებში: "საახალწლოდ საჰაერო უზენაესობა[24] ჩვენი იქნება!" (მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ბატონი ზაური წარმოებული იარაღის რაოდენობასა და მათი საბრძოლო გამოყენებისთვის მზაობის ვადებთან დაკავშირებით ზედმეტად ოპტიმისტური პროგნოზებისკენ იხრებოდა).

რაიხის ტერიტორიაზე საჰაერო უზენაესობის მოპოვება, სამხედრო მეთაურობის აზრითაც, ომის მდგომარეობის კვლავ შემობრუნების აუცილებელი წინაპირობა იყო. ომის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები გროსადმირალმა დაახლოებით ასე შეაჯამა (თავად ჰიტლერს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი დამოკიდებულება არ გამოუხატავს): "თუ ჯერ გაკეთდება გერმანიის თავზე სახურავი,[25] ფრონტები მტერს გაუძლებენ. შემდეგ შესაძლებელი გახდება შორი მანძილიდან V– იარაღითა და ახალი წყალქვეშა ნავებით დარტყმების კვლავ მიყენება, რათა ინგლისი მშვიდობისთვის არა მხოლოდ მზად, არამედ თავადაც მისი მსურველი იყოს. ოდესღაც საქმიანად მოაზროვნე ინგლისელებისთვის დგება მომენტი, როცა ხანგრძლივი ბრძოლისთვის სისხლისა და ფულის შეწირვა აღარ უღირთ. სწორედ მაშინ მოვიპოვებთ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც გერმანიას შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება და უპირობო კაპიტულაციისთვის თავის დაღწევა".

არანაირი ეჭვი არ არსებობს, რომ მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა ამ შეხედულების აბსურდულობა დაადასტურა, თუმცა 1944 წლის შემოდგომაზე მოცემულ იმედის სხივს მეც ჩავეჭიდე, განსაკუთრებით წყალქვეშა ნავების შეიარაღების სექტორში, სადაც მე საკმაოდ ჩახედული ვიყავი და

[23] ავტორის შენიშვნა: მაჩვენებლები იცვლება იმის მიხედვით, ინდუსტრიის პროდუქციის რიცხვებს იყენებთ თუ ლუფტვაფესადმი მიწოდებული ერთეულების რაოდენობას. ნებისმიერ შემთხვევაში „ვერმახტის დეპარტამენტების მიერ სათანადოდ წაღებული" დღის გამანადგურებლების რაოდენობა 1942 წლისთვის შეადგენდა 4476, 1943 წლისთვის 9121, ხოლო 1944 წლისთვის – 20 242 ერთეულს. ამასთან ერთად 1944 წელს საწარმოებსა და ტრანსპორტზე საჰაერო თავდასხმების გამო პროდუქცია 30%-ით ჩამორჩა გეგმას, რომელიც რესურსებისა და სამუშაო ძალის მხრივ უზრუნველყოფილი და თავისუფლად მიღწევადი იყო. ის ფაქტი, რომ 1944 წლის ბომბების ტერორის წელიწადში ხუთჯერ მეტი გამანადგურებლის წარმოება იყო შესაძლებელი 1942 წელთან შედარებით, როცა მტრის მიერ მიღებულ ზომებს ჯერ არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონდა პროდუქციაზე, ერთნაირი სიცხადით მიუთითებს ორ რამეზე: 1. მეთაურობის მიერ ომის დაწყებისას ომის მდგომარეობის სავარაუდო განვითარების სრულიად არასწორ შეფასებასა და 2. ომისთვის გერმანული ეკონომიკის არასათანადო მომზადებაზე. შეიარაღების მინისტრის, შპეერის თვალსაზრისით, ომის საჭიროებების უზრუნველსაყოფად ეკონომიკის ორგანიზება და ცენტრალური დაგეგმარება ზედმეტად გვიან მოხდა.

[24] Luftherrschaft (ინგლ. Aerial Supremacy ან Air Supremacy) – საჰაერო სივრცის კონტროლის დონე, როდესაც მოწინააღმდეგეს არ შეუძლია მოცემულ რეგიონში საკუთარი თვითმფრინავების ან რაკეტების მეშვეობით ოპერაციებისთვის ხელის შეშლა

[25] გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება საჰაერო უზენაესობა.

ვიცოდი, რომ იმედები რეალურ საფუძველს ემყარებოდა.[26] თუმცა ვარაუდი, რომელზეც ჩვენ ყველა იმედი იყო დამყარებული ომის ბოლომდე, კერძოდ ის, რომ „გერმანიის თავზე სახურავის“ გაკეთება იყო შესაძლებელი, მცდარი აღმოჩნდა. თუ რამდენად მცდარი, მალე გამოჩნდება.

დეკემბრის დასაწყისში ჰიტლერი რაიხსკანცელარიაში მცირე დროის გატარების შემდეგ გადავიდა ბად ნაუჰაიმის სიახლოვეში თავის შტაბ "არწივის ბუდეში", რომელიც მთის ტყიან კალთაზე შეფენილი რამდენიმე ბუნკერისგან შედგებოდა. ვინაიდან და რადგანაც ბუნკერებში არც მუდმივი შტაბისთვის და არც დროებითი სტუმრებისთვის საკმარისი ადგილი არ იყო, ისინი ახლომახლო სასახლესა[27] და სპეციალურ მატარებლებში გადანაწილდნენ, რომლებიც განუწყვეტლივ გვირაბის წინ იდგნენ, სადაც ისინი საჰაერო განგაშის დროს შეჰყავდათ.

ახლა კრიტიკულ პუნქტად კვლავ დასავლეთის ფრონტი იქცა.

16 დეკემბერს, ადრიანად გერმანული ვერმახტი თავისი უკანასკნელი დიდი თავდასხმისთვის, არდენის შეტევისთვის, განლაგდა. შორეული სტრატეგიული სამიზნე იყო ანტვერპენის დაბრუნება, რაც გამოიწვევდა ბრიტანული და ამერიკული ძალების გახლეჩასა და არმიათა ჯგუფ მონტგომერის ალყაში მოქცევას.[28] 32-მა დივიზიამ და 1400-მა ტანკმა მთლიანად მალულად მოიყარა თავი. ეს იყო უდიდესი რაოდენობა, რაც კი გერმანიას საერთოდ ომის განმავლობაში შეტევისთვის ჰქონია მზადყოფნაში. მოულოდნელობის ეფექტი იყო სრული. შეტევა დასაწყისშივე წარმატებული იყო და ფრენისთვის შეუფერებელი ცუდი ამინდის გამო სწრაფად მოხერხდა ტერიტორიის დაკავება. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ორივე მხარემ დაიწყო საჰაერო ძალების გამოყენება. შედეგად წინსვლა შეჩერდა და ოპერაცია საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის მთავარი მიზეზი იყო მტრის საჰაერო ძალების უზომო უპირატესობა, რომლებმაც არა მხოლოდ სახმელეთო ბრძოლებში ჩართვა, არამედ ნიადაგის პირობების გამო სავალ გზებზე მიჯაჭვული გერმანული მეწინავე რაზმების მომარაგების სრულიად მოშლაც შეძლეს.

წარუმატებელ დარტყმაზე უფრო მძიმე მაინც იმის საბოლოოდ გააზრება იყო, რომ რაიხის ტერიტორიაზე ნანატრ საჰაერო უზენაესობაზე უკვე ფიქრიც აღარ ღირდა. ახლად შეიარაღებული გამანადგურებელთა საჰაერო ფლოტი

[26] ავტორის შენიშვნა: ჩერჩილმა 1945 წლის 13 მაისს, თემთა პალატის წინაშე გამოსვლისას ომის დასრულების წინ წყალქვეშა ნავებიდან მომდინარე საფრთხე შეადარა 1942 წლისას, როცა გერმანული წყალქვეშა ნავები ყველაზე ეფექტურები იყვნენ. კაპიტულაციის შემდეგ გერმანელი შეიარაღების სპეციალისტებით (მეტადრე V-იარაღებისა და თვითმფრინავების წარმოებაში) განსაკუთრებული დაინტერესება და ყველა გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ მათი თავიანთ სამსახურში აყვანაც მიუთითებს, რომ გერმანია ომის ბოლოსკენ არაერთ სექტორში ტექნიკური განვითარებით უპირატესი იყო, თუმცა ამის რეალიზება საკუთარი ომის საწარმოებლად უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

[27] „არწივის ბუდე“ (გერმ. "Adlerhorst") მდებარეობდა ციგენბერგის სასახლესთან, რომელიც ომის დასაწყისში იძულებით შეისყიდა მთავრობამ.

[28] იგულისხმება ბრიტანელი ფელდმარშალის, ბერნარდ მონტგომერის (1887-1976) ხელქვეით მყოფი

21-ე არმია.

კვლავ უმეტესწილად „გამოცდილი“, ანუ ძველი მოდელებისგან – Me 109-სა (იგივე Bf 109 – კ. მ.) და FW 190– ებისგან, შედგებოდა. ზოგჯერ ხმამაღლა გამოთქმულ ეჭვებს იმის შესახებ, იყვნენ თუ არა ესენი მტრის ახალი მოდელების დონეზე, ასე ფანტავდნენ ხოლმე: „თვითმფრინავის ტიპები დაახლოებით თანაბარი დონისაა, რაოდენობრივი უპირატესობა გადაწყვეტს ყველაფერს“. თუმცა რაოდენობამ ვერაფერიც ვერ გადაწყვიტა. გადამწყვეტი იყო ნაწილობრივ თვითმფრინავის ტიპების მცირე უპირატესობა და უფრო მეტად მტრის „ძველების“[29]გამოცდილება, რომლებიც უკვე ერთი წელია გერმანიის თავზე საკუთარ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც სახლში, განსხვავებით ახალგაზრდა, არასათანადოდ მომზადებული გერმანელი პილოტებისგან, რომლებსაც ბრძოლისა და ხშირად საერთოდ ფრენის საკმარისი გამოცდილების გარეშე ყველაზე მძიმე მისიებზე გზავნიდნენ ხოლმე. საჰაერო გამარჯვებების შეფარდება გაიზარდა 10:1-მდე ჩვენთვის საზიანოდ. ამიტომ საბოლოოდ საჭირო გახდა უღრუბლო დღეებში ამ ტიპის თვითმფრინავების გამოყენების შეწყვეტა ადამიანებისა და საწვავის დასაზოგად.

აქედან მოყოლებული მეტი ენერგიულობით დაიწყო რეაქტიული გამანადგურებლების მზადება ფრონტისთვის. როგორც საბრძოლო გამოცდილებამ გვიჩვენა, ეს იყო ჩვენთვის შესაფერისი თვითმფრინავის ტიპი. ყველანაირი სირთულის მიუხედავად, წარმოება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. თუმცა ერთი თვითმფრინავის დამზადებიდან საბრძოლოდ გაწვრთნილი სამხედრო შენაერთების ფრონტისთვის მზადყოფნამდე ჩვეულებრივ შემთხვევაშიც გრძელი, დამღლელი გზაა, რომელიც დროს, სივრცესა და საწვავს საჭიროებს. მოგვიანებით, 1945 წლის დასაწყისში, განვითარებულმა მოვლენებმა ამ წინაპირობების შესრულების შესაძლებლობა საბოლოოდ მოსპო. ახალი გამანადგურებლების პრაქტიკული რეალიზება ვერ მოხერხდა.[30]

12 იანვარს აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფი ყველა რუსი ზამთრის შეტევისთვის[31] მოემზადა. ვისლას ხიდისწინა პლაცდარმიდან[32] მათ შეძლეს ბარანოვთან[33] გადამწყვეტი გარღვევის მიღწევა, რომელმაც გერმანული ფრონტის

[29] გერმ. “alten Hasen” – სიტყვა-სიტყვით ძველი კურდღლები.

[30] ავტორის შენიშვნა: რეაქტიული გამანადგურებლების განვითარება თავდაპირველად გიორინგის არასაკმარისი ინტერესის გამო შეყოვნდა, თუმცა 1943 წელს ჰიტლერმა მისი დაჩქარება ბრძანა. მათი გამოყენებისთვის მზადყოფნა უსიამოვნო გარემოებებმა 1944 წლის ზაფხულამდე გადაწია. მაშინ ჰიტლერმა საკუთარი უკანასკნელი კოზირი თავად გაუშვა ხელიდან: OKW-ს, ლუფტვაფესა და შეიარაღების სამინისტროს ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, მან ბრძანა უკვე შექმნილი წმინდა გამანადგურებლების გადაკეთება გამანადგურებელ-ბომბდამშენებად. ამის გამო, ტექნიკური ექსპერტების თქმით, ამ თვითმფრინავების ბრძოლაში ჩართვა 12-ით თუ არა, 6 თვით მაინც გახანგრძლივდებოდა. „ფიურერის ბრძანებაზე“ დისკუსიამ შტაბში ისეთი მასშტაბები და მახინჯი ფორმები მიიღო, რომ ჰიტლერი ჩაერია და ამ საკითხის ნებისმიერი ფორმით განხილვა უბრალოდ აკრძალა.

[31] იგულისხმება ვისლა-ოდერის ოპერაცია (ინგლ. Vistula-Oder Offensive).

[32] გერმ. Brückenkopf (ინგლ. Bridgehead) – სამხედრო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ჯარის მიერ მტრის ტერიტორიაზე დაკავებულ ძლიერ პოზიციას, საიდანაც შესაძლებელია თავდასხმა და შეტევის განხორციელება

[33] პოლ. Baranów Sandomierski – ქალაქი დღევანდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთში.

ჩამოქცევა გამოიწვია.[34] ჩქარი შეტევით რუსული წინამავლები ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ღრმად ზემო სილეზიის ინდუსტრიულ რეგიონში და შუა ოდერს მიაღწიეს კიუსტრინთან და ფრანკფურტთან.[35] აღმოსავლეთ პრუსიის „სიმაგრე“ ყოველდღიურად პატარავდებოდა. დანციგიდან კიუსტრინამდე ჩვენი გრძელი და მეჩხერი ფრონტი იცავდა ჯერჯერობით მტერს გადარჩენილ პომერანიას. ამ რეგიონიდან იანვრის ბოლოს მოულოდნელი თავდასხმა უნდა განხორციელებულიყო ბერლინში შექმნილი სახიფათო მდგომარეობის გასანეიტრალებლად, რომელიც დამარცხდა მანამ, სანამ საერთოდ წესიერად დაიწყებოდა. რაიხსკანცელარიის (ჰიტლერის შტაბი იანვრის შუა რიცხვებიდან მის სიკვდილამდე) აზრით, ეს იმის გამო მოხდა, რომ მმართველობასა და ჯარისკაცებს შორის ნიჰილიზმი იყო გაბატონებული და მათ დამარცხება სურდათ. თავის მხრივ ჟუკოვმა[36] პომერანიის არეალი გაწმინდა და ოდერს გადაღმა მშვიდად მოემზადა უკანასკნელი დარტყმისთვის.

დასავლეთში ჩვენმა ჯარებმა არდენის წარუმატებელი შეტევის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხიეს უკან რაინზე. მაშინდელი ამერიკელი გენერალური შტაბის უფროსის, მარშალის[37] გადმოცემით, მოკავშირეებისთვისაც მოულოდნელი იყო ამ უკანასკნელი სიმაგრის ასე სწრაფად გადალახვა, რაც 9 მარტს რემაგენთან ხიდის ხელუხლებლად დაკავებით მოახერხეს. ამ უიმედო მდგომარეობაშიც კი რაიხსკანცელარიის ბუნკერში მყოფ, ბედისწერაზე ფიქრებით შეპყრობილ, ენერგიულ კაცს ყველაფერზე ხელი არ ჩაუქნევია. შესაძლოა აქ გადამწყვეტი იყო საკუთარი მისიისადმი რწმენა, რომლის გავლენითაც ის ბედის ყოველ დარტყმას ახალ, უფრო რთულ გამოცდად აღიქვამდა. რა თქმა უნდა, პრაქტიკულმა საკითხებმაც ითამაშეს გარკვეული როლი, ყოველ შემთხვევაში, ისინი მისი გარემოცვის განხილვის საგანი ნამდვილად იყო. დიონიცი და იოდ-

[34] ავტორის შენიშვნა: მტრის შეტევის წერტილების სწორად განსაზღვრის მიუხედავად, მომზადებულმა ორმა სარეზერვო დივიზიამ ბრძოლაში ჩართვის ბრძანება დროულად ვერ მიიღო და შემოჭრილმა რუსულმა ნიაღვარმა ისინი წალეკა. ჰიტლერმა არმიათა ჯგუფ ცენტრის მთავარსარდალი, გენერალობერსტ ჰარპე (სამხედრო პირი. მეთაურობდა არმიათა ჯგუფ A-ს. მართალია ლიუდე-ნოირათი მას არმიათა ჯგუფ ცენტრის მთავარსარდლად იხსენიებს, მაგრამ არმიათა ჯგუფ A-ს ცენტრი მხოლოდ ჰარპეს დათხოვნის შემდეგ ეწოდა – კ. მ.), დაუყოვნებლივ დაითხოვა. მე შემთხვევით ფიურერის ოთახის მისაღებში ვიმყოფებოდი, როდესაც ჰარპე ნაბრძანები მოხსენების ჩასაბარებლად მოვიდა. მიკვირდა მისი სიმშვიდე და თავდაჯერებულობა: მან ჰიტლერს ტელექსით მიღებული „ფიურერის განკარგულება“ წარუდგინა, რომლითაც თავად მან ბრძანა ზუსტად ამ ორი დივიზიის ბრძოლაში ჩართვისგან თავის შეკავება. განკარგულება, რომლის არსებობის შესახებაც ჰიტლერმა არაფერი იცოდა, ჯარის გენერალური შტაბის (გერმ. Generalstab des Heeres იგივე Oberkommando des Heeres (OKH) – კ. მ.) მიერ იყო გაცემული, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე მეთაურობდა ოპერაციებს. ეს აშკარად შეცდომა უფრო იყო, ვიდრე „ღალატი“. არდენის შეტევის სასარგებლოდ შესუსტებული აღმოსავლეთის ფრონტის გარღვევა, სადაც მოწინააღმდეგე 7-ჯერ გვჭარბობდა, მაინც გარდაუვალი იყო.

[35] იგულისხმება ოდერის ფრანკფურტი (გერმ. Frankfurt an der Oder).

[36] გეორგი ჟუკოვი (1896-1974) – საბჭოთა წითელი არმიის მარშალი (1943 წლიდან) და ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი.

[37] ჯორჯ მარშალი (1880-1959) – ამერიკელი გენერალი, აშშ-ს არმიის შტაბის უფროსი 1939-1945

წლებში, მოგვიანებით გახდა სახელმწიფო მდივანი (1947-1949 წლებში).

ლი ნებისმიერ შემთხვევაში უჭერდნენ მხარს ომის გაგრძელებას, მიუხედავად დამარცხების თავიდან აცილების შეუძლებლობის გააზრებისა, არა მხოლოდ ჯარისკაცური ერთგულების, არამედ თავიანთი შინაგანი რწმენის გამოც.

ნებისმიერ ფასად წინააღმდეგობის გაწევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მტრის მიერ „უპირობო კაპიტულაციის“ მოთხოვნას. 1943 წლის იანვრის კასაბლანკას კონფერენციიდან მოყოლებული[38] ის იყო ბოროტი სული, რომელიც გერმანელთა შორის დანებების ნებისმიერ ტენდენციას ჩანასახშივე ახშობდა და ამის გამო „ტოტალური ომის“ განმტკიცების საუკეთესო საშუალება იყო. მეტადრე ჰიტლერს არანაირი ილუზიები არ ჰქონდა მთლიანად გერმანელი ერისთვის უპირობო დამორჩილების მძიმე შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც მან სხვადასხვა დროს თავად დაგვიხატა შავბნელ ფერებში. იალტაში მიღწეული შეთანხმებები გერმანიის სამომავლო გადანაწილებისა და დანაწევრების შესახებ ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო.[39] გენერალურმა შტაბმა ხელში ჩაიგდო ბრიტანული საიდუმლო “ოპერაცია ეკლიპსის“ რუკა, რომელზეც ასევე ნათლად ჩანდა დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის,[40] რაც მოგვიანებით მწარე რეალობად იქცა. ჰიტლერის წრეში განსაკუთრებით მძიმედ უყურებდნენ ქვეყნის დაგეგმილი დაკავების, დანაწილებისა და საცხოვრებელი შესაძლებლობების შემცირების გავლენას გერმანელი ერის ბიოლოგიურ შემადგენლობაზე. ისინი საუბრობდნენ მოსახლეობის 20-30 მილიონით შემცირებაზე ერთი თაობის განმავლობაში. ასაბუთებდნენ, რომ არცერთი საშუალება არ უნდა დარჩენილიყო გამოუყენებელი, რათა ამგვარი კატასტროფა თავიდან აგვერიდებინა. ერთ დღესაც ისტორია დანაკარგის სიდიდეს კი არ განსჯის, არამედ იკითხავს, ყველაფერი თუ ვცადეთ ამგვარი დასასრულის თავიდან ასაცილებლად.

მეორე მხრივ, აღმოსავლეთის გერმანელი ხალხის წინაშეც ვიყავით ვალდებულნი: თუ მათი სამშობლოს რუსების თავდასხმისგან დახსნა უკვე შეუძლებელი იყო, ადამიანები მაინც უნდა გადმოგვეყვანა დასავლეთით. შესაძლოა კვლავ საკამათოდ დარჩეს, ამართლებდა თუ არა ეს წაგებული ომის გახანგრძლივებას. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ ლტოლვილები და ჯარისკაცები აღმოსავლეთში ისეთ კაპიტულაციას, რომელიც მათ რუსების ხელში ჩააგდებდა, არ დაეთანხმებოდნენ. როგორი ცალმხრივობითა და შეუმწყნარებლობითაც დასავლეთის გერმანულ მოსახლეობაში ყოველდღე ომის გახანგრძლივებას დანაშაულად და სიგიჟედ მიიჩნევდნენ, იმავენაირად აღმოსავლეთში მილიონობით ადამიანი ელოდა მის გაგრძელებას, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ რუსულ საფრთხეს გაექცეოდნენ, რომლის

[38]სწორედ კასაბლანკას კონფერენციაზე მოითხოვეს მოკავშირეებმა ღერძის სახელმწიფოების „უპირობო კაპიტულაცია“.

[39] იალტას კონფერენციაზე 1945 წლის 4-11 თებერვალს მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებმა (რუზველტმა, ჩერჩილმა და სტალინმა) გადაწყვიტეს ომის შემდეგ გერმანიის გადანაწილების საკითხი.

[40]მოკავშირეები გეგმავდნენ საჰაერო-სადესანტო ოპერაციის განხორციელებას ბერლინში, რათა საბჭოთა წითელი არმიისთვის დაესწროთ მისი დაკავება (Breuer 2000: 218-220).

რეალურობაში საკუთარი გამოცდილებითაც დარწმუნდნენ. თუ რა გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა აღმოსავლეთ და დასავლეთგერმანული მოსახლეობის განსხვავებულ დამოკიდებულებებს ომის დამამთავრებელ ეტაპზე და რეალურად ამან როგორ გაახანგრძლივა მისი დასრულება, მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ.

კიდევ ერთი არგუმენტი 1945 წლის დასაწყისში ომის გასაგრძელებლად იყო კაპიტულაციის შიში წლის ცივ სეზონზე, რაც ჯარების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა აგვერიდებინა თავიდან, რადგან, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მტრის მიერ ლოჯისტიკის საკუთარ თავზე აღებას მძიმე გართულებები და დაბინავებისა და მომარაგების ნაკლებობის გამო დიდი დანაკარგები მოჰყვება ხოლმე. ეს თვალსაზრისი იოდლმაც განავრცო ნიურნბერგის პროცესზე და მისი სისწორე ყველა გამარჯვებული სახელმწიფოს ტყვეთა ბანაკებში განვითარებულმა მოვლენებმა ნაწილობრივ მაინც დაადასტურა მიუხედავად იმისა, რომ კაპიტულირება თბილი სეზონის დასაწყისში მოხდა.

საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობის სურვილს გერმანულ სარდლობაში, ეჭვს გარეშე, უპირატესად მაინც პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების, კერძოდ მოკავშირეთა შორის დაპირისპირების, იმედი აძლიერებდა. ეს იმედი სხვადასხვა წყაროთი საზრდოობდა. პირველ რიგში და რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი სურვილით. შემდეგ კი იმ ვარაუდით, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა ინგლისში გაიაზრებდნენ, რომ არასწორ მტერს ებრძოდნენ და გერმანიაზე ტოტალური გამარჯვების მოპოვების შემთხვევაშიც ისინი ომში დამარცხებულები გამოვიდოდნენ. მათთვის ეს ომი დაიწყო პოლონეთის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და გერმანიის კონტინენტური ძალის ზედმეტად გაზრდის შესაჩერებლად. ახლა კი სახეზეა ბევრად უფრო ძლიერი რუსეთის მასშტაბები და ადამიანური თუ ეკონომიკური პოტენციალი და არც პოლონეთია საფრთხეს გადარჩენილი. დიონიცმა ეს ასე შეაჯამა: „ჩერჩილი ალბათ ისტორიაში შევა, როგორც მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებული და ინგლისური იმპერიის მესაფლავე“.

თანაც ყოველდღიურად აბვერის[41] მიერ RSHA-ში[42] მიწოდებული მტრის ახალი ამბებიდან ისეთი სიახლეები იყო შერჩეული და ხაზგასმული, რომლებიც მოკავშირეთა ფრონტზე დაძაბულობაზე ან საერთოდ კოალიციის დაშლაზე მიუთითებდნენ.

შესაბამისად, მმართველი პირები არც პოლიტიკური ცვლილების და არც სხვა მსგავსი „სასწაულის“ შესაძლებლობას არ გამორიცხავდნენ.[43]

მაგრამ ასეთი ცვლილება, როგორც ჩვენ დავასკვენით, მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამოსადეგი, თუ გერმანია კვლავ „ცოცხალი“ იქნებოდა. დღეს საკუთარი

[41] გერმ. Abwehr – გერმანული სადაზვერვო ორგანიზაცია 1920-1944 წლებში.

[42] Reichssicherheitshauptamt – რაიხის უსაფრთხოების დეპარტამენტი, აერთიანებდა სახელმწიფო პოლიციას, კრიმინალურ პოლიციასა და SD-ს, 1943 წლიდან მისი უფროსი იყო ერნსტ კალტენბრუნერი.

[43] ავტორის შენიშვნა: ჩემი ვარაუდით, ჰიტლერი თვით აპრილის მეორე ნახევრამდეც „ბედისწერის“ იმედით საზრდოობდა. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას მისი სპონტანური რეაქცია რუზველტის სიკვდილის შეტყობინებაზე, როდესაც მან, თავისი ჩვეულების საპირისპიროდ, პირდაპირ დიონიცთან ითხოვა დაკავშირება,

ნებით უპირობო კაპიტულაციის მეშვეობით თვითმკვლელობა არ უნდა ჩაიდინო მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ დიდი ალბათობით მაინც სასიკვდილო დარტყმა გელის. პირიქით, გაუძელით! და რაც შეიძლება დიდი ხნით, რადგან რაც უფრო დაუახლოვდებოდა ერთმანეთს აღმოსავლელი და დასავლელი მოწინააღმდეგის ფრონტები, მით უფრო დიდი იყო იმ კოალიციის დაშლის ალბათობა, რომელიც მხოლოდ ნეგატიური მიზნისთვის – გერმანიის განადგურებისთვის – ჩამოყალიბდა. საჭირო იყო ამ მომენტს ფეხზე მდგარნი შევხვედროდით. ასე რომ, გააგრძელეთ ბრძოლა!

მარტის შუა რიცხვებში ბრძოლის მიზანი დაახლოებით ასეთი იყო: „აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნება და დასავლელი მოწინააღმდეგეების რაინის გადაღმა გადარეკვა“. ამ მიზნისთვის ჰარცში ჩამოყალიბდა მე-12 არმია ინფანტერიის გენერლის, ვენკის, მეთაურობით. უკანასკნელი იმედები მასზე იყო დამყარებული. აღჭურვილობა, როგორც ამბობდნენ, ჯერ კიდევ ხელმისაწვდომი იყო. ადამიანური რესურსები შედგებოდა ძირითადად ოფიცერ-ასპირანტებისგან და სამხედრო კადეტებისგან და ამ დროისთვის გამორჩეულ ელიტას წარმოადგენდა. თუმცა საკუთარი თავდაპირველი დავალების აღსრულება, რაიხის განთავისუფლება დასავლეთში და ანგლო-ამერიკელების რაინზე გადარეკვა, მათ არ ეწერათ.

აპრილის დასაწყისში დასავლეთის ფრონტის გაზრდილი დეზინტეგრაციისა და აღმოსავლეთში მომავალი დიდი შეტევის გამო გერმანიის ცენტრალურ რეგიონში გაჩნდა მოკავშირეთა შეერთების საშიშროება. ამ შემთხვევისთვის ჰიტლერმა ფელდმარშალ კესელრინგს[44] სამხრეთ რეგიონში, ხოლო გროსადმირალ დიონიცს ჩრდილოეთში თავდაცვის შემდგომი ორგანიზება დაავალა. ამასთან არ იყო დაკავშირებული რაიმე სახის აღმასრულებელი ძალაუფლება, რადგან ეს მხოლოდ განსაკუთრებული ბრძანების შემთხვევაში შევიდოდა ძალაში და მხოლოდ იმ არეალში, სადაც ჰიტლერი თავად არ იმყოფებოდა. კითხვა, თუ ის თავად საითკენ წავიდოდა, ღია რჩებოდა. მისი წინასწარი განწყობილება, სამხედრო მდგომარეობა და მის გარშემო წარმოებული სამზადისი გვავარაუდებინებდა, რომ მისი არჩევანი ხანგრძლივი თავდაცვისთვის უფრო შესაფერის, თუმცა ცუდად შეიარაღებულ სამხრეთზე შეჩერდებოდა.

16 აპრილს ოდერის ფრონტზე დიდი შეტევით რუსებმა დაიწყეს ამ დიადი სამხედრო დაპირისპირების უკანასკნელი თავის წერა. ჯარი კვლავ აწარმოებდა შეუპოვარ თავდაცვით ბრძოლას, გერმანელი ქვეითი ფოლკშტურმის[45] მეომრის, მეზღვაურისა და პოლიციელის მხარდამხარ გააფთრებით იბრძოდა სამშობლოს მიწის ყოველი მეტრისთვის. რაიხის ყველა ნაწილიდან საჰაერო თავდაცვის მოშლის ხარჯზე შეგროვებული საზენიტო არტილერია რუსული პოზიციების წინ ცეცხლის გაუვალ კედელს ქმნიდა. 3 დღე გაძლო ფრონტმა, შემდეგ კი წინააღმდეგობის ფიზიკური თუ მატერიალური ძალა დაილია. ბა-

---

რათა სიხარულისგან აღტყინებულს ეს ამბავი მისთვის თავად გაეზიარებინა.

[44] ალბერტ კესელრინგი (1885-1960) – გერმანელი ფელდმარშალი, მეთაურობდა სამხრეთ ფრონტს იტალიასა და ხმელთაშუა ზღვაში.

[45] გერმ. Volkssturm – სიტყვასიტყვით ხალხის ქარიშხალი. 1944 წელს ჩამოყალიბებული სახალხო ლაშქარი, რომელიც ნაცისტურ პარტიას ექვემდებარებოდა.

ტარეები ბოლო ჭურვამდე ვისროლეთ, საწვავის ბოლო წვეთი გამოვიყენეთ. მომარაგება ტრანსპორტის საშუალებების სრული განადგურებისა და მტრის ტოტალური საჰაერო უზენაესობის გამო ვერ ხერხდებოდა. 19 აპრილის ნაშუადღევს მტერმა ოდერის ხიდისწინა პლაცდარმიდან ვრიცენის სამხრეთითა და მიუნხებერგის აღმოსავლეთით უკანასკნელი ურთიერთდაკავშირებული გერმანული ფრონტი დაშალა.

ამით დაწყებულ ბრძოლას ბერლინისთვის, რომელიც თავის კულმინაციას სწრაფად უახლოვდებოდა, დიონიცი – და შესაბამისად მეც – 22 აპრილიდან მხოლოდ გარედან ვაკვირდებოდით. ერთი დღის შემდეგ გავიგეთ ჰიტლერის ბერლინში დარჩენის გადაწყვეტილების შესახებ. ამაში დიდი როლი ითამაშა როგორც იმის გააზრებამ, რომ რაიხის დედაქალაქის დაცემასთან ერთად ომიც საბოლოოდ წაგებული იქნებოდა, ასევე ბოლო წამს გადარჩენის ბუნდოვანმა იმედმა, რომელიც მხოლოდ ბედისწერისადმი რწმენით თუ აიხსნებოდა. იყო საუბარი იმაზე, რომ ბერლინის შეძლებისდაგვარად წარმატებული დახსნა ბლოკადისგან როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სამხედრო გარდატეხას მოიტანდა – როგორც "რუსებისთვის სტალინგრადის განთავისუფლება იყო". ჰიტლერს საკუთარი პიროვნების მამოძრავებელი ძალის ჯერ კიდევ სჯეროდა. ჩაკეტილ დედაქალაქში დარჩენით მას სურდა ჯარის მაქსიმალურად სტიმულირება. მას სურდა თავდაცვისა და – მისი ბრძანებით ჩრდილოეთში გადასული OKW-ს მეშვეობით – განთავისუფლების ზომების პირადად ხელმძღვანელობა. ციფრებით ფურცელზე ჯერ კიდევ შესაძლებელი იყოს წარმატების კონსტრუირება: შიორნერის[46] ფრონტის ნარჩენებიდან ჩამოყალიბებულ ბუსეს[47] არმიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, შტაინერის[48] მეთაურობით მესამე SS სატანკო კორპუსს ჩრდილოეთიდან და ვენკის არმიას დასავლეთიდან უნდა ეცადათ რუსული წრის გარღვევა. დასავლეთიდან დროებით კვლავ შესაძლებელი იქნებოდა კონტაქტის დამყარება პოტსდამის თავდაცვის ზონასთან. თუმცა მომარაგების ნაკლებობამ, არასაკმარისმა მობილურობამ, კრიტიკული პუნქტების შექმნისა და ლოკალური გამარჯვებების გამოყენების შეუძლებლობამ და მტრის საჰაერო დომინირებამ ყველანაირი მცდელობა და პირადი სიმამაცე, რომლის უთვალავი მაგალითიც ვნახეთ, არად აქცია.

სასოწარკვეთილება აშკარად ჩანდა იოდლის 27 აპრილის[49] სიტუაციურ ანგარიშში რაინსბერგში, რომელსაც კაიტელის გვერდით დიონიცი და ჰიმლერიც ესწრებოდნენ.

29 აპრილს იგივე განწყობა გაიზიარეს ბერლინში. 30 აპრილს ჰიტლერმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და 15:30 საათზე ტყვიით დაასრულა თავისი სიცოცხლე. პოლიტიკური მემკვიდრეობა ანდერძით კრიგსმარინეს მთავარსარდალს, გროსადმირალ კარლ დიონიცს ჩააბარა.

---

[46] ფერდინანდ შიორნერი (1892-1973) – 1945 წლიდან ფელდმარშალი, მეთაურობდა არმიათა ჯგუფ ჩრდილოეთს და შემდეგ არმიათა ჯგუფ ცენტრს.

[47] თეოდორ ბუსე (1897-1986) – გენერალი, მეთაურობდა მე-9 არმიას, რომელიც ბერლინს იცავდა.

[48] ფელიქს შტაინერი (1896-1966) – SS-ის ობერგრუპენფიურერი, მეთაურობდა SS დივიზიებს „გერმანიასა" და „ვიკინგს"

[49] ტექსტში არასწორად არის მითითებული 28 აპრილი, სწორი თარიღის შესახებ იხ. Lüdde-Neurath 2010, Notes, section II, ch. I, Note 54.

თავი II

დიონიცი ტოვებს ბერლინს

1943 წლის ზაფხულიდან კრიგსმარინეს მთავარსარდლის შტაბი და SKL[50] მდებარეობდა ბერლინის ჩრდილოეთით, ბერნაუში. რაიხის დედაქალაქთან სიახლოვე, შეტყობინებების ჩინებული ქსელი, ორი ტევადი სამეთაურო ბუნკერი, რომელთა გამოყენების საჭიროებაც თითქმის არ იყო, და ტყისპირას მიმალული ყაზარმების ბანაკის, მეტსახელად „კორალის“, მყუდრო ატმოსფერო მას მართვისთვის იდეალურ ადგილად აქცევდა. თუმცა როცა რუსებმა 1945 წლის იანვრის ბოლოს შუა ოდერს მიაღწიეს და იქიდან ბერლინს დაემუქრნენ, დიონიცმა საგულდაგულოდ შეამცირა OKM-ის[51] შემადგენლობა და ის ჩრდილოეთ გერმანიაში გადაიყვანა, რადგან მას არ სურდა მთელი კრიგსმარინეს სამეთაურო აპარატის აღმოსავლეთიდან მოულოდნელად მოსული მტრის ხელში ჩავარდნის გარისკვა.

თავად გადაწყვიტა, რომ მცირე პერსონალური შტაბის თანხლებით ბერლინის სიახლოვეში დარჩენილიყო, რადგან მას, როგორც ვერმახტის ნაწილის მეთაურს, არ სურდა ამ კრიტიკულ მომენტში ქვეყნისა და ვერმახტის სარდლობასთან კავშირის გაწყვეტა. ამასთანავე ბერლინის ჩრდილოეთით იმყოფებოდა მისი კარგად შენიღბული სპეციალური მატარებელი „აუერჰანი“, რომელსაც ნებისმიერ მომენტში შეეძლო მისი წაყვანა. ადგილმდებარეობის ამგვარი ცვლილება წარუმატებელი აღმოჩნდა. სანამ „კორალს“ ალაგებდნენ, მე დიონიცს გავყევი შუადღისას რაიხსკანცელარიაში ყოველდღიურ სიტუაციურ კონფერენციაზე და იქიდან უკან, მატარებლამდე. ამ ახალ სამეთაურო ცენტრში მისვლა და იქ გატარებული პირველი საათები მაინცდამაინც დადებითად არ მაგონდება. SKL-ისთვის ვაგონების გამოყოფამ, რკინიგზაზე მანევრირებისას ელექტროენერგიისა და სიგნალების აპარატურის მწყობრიდან გამოსვლამ, საერთო სივიწროვემ, დენის გათიშვამ და საჰაერო განგაშმა „ლომი“ – დიონიცის ზედმეტსახელი წყალქვეშა ფლოტში – აშკარად ცუდ ხასიათზე დააყენა. მაშინ მე დაუყოვნებლივ შევთავაზე პირადი შტაბით კვლავ „კორალში“ გადაბარგება, იქ მოვლენების განვითარების მშვიდად დალოდება და ადგილმდებარეობის მხოლოდ მაშინ შეცვლა, როცა OKH გარღვევის სერიოზული საფრთხის შესახებ შეგვატყობინებდა. მან ჩემი შემოთავაზება მიიღო და მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სწორად მოიქცა. ახლა დიონიცი კვირაში ორ-სამჯერ ესწრებოდა ხოლმე ფიურერის შტაბში სიტუაციურ კონფერენციებს. თავისი პირადი მრჩევლის, კონტრადმირალ ვაგნერისა[52] და წყალზედა და წყალქვეშა ოპერაციების საკითხში მისი სპეციალისტი თანაშემწის მეშვეობით, მას კრიგსმარინეს მართვის სადავეები მტკიცედ ეჭირა ხელში. პირადი თუ მართვის ტექნიკის თვალთა-

[50] Seekriegsleitung – საზღვაო ომის ხელმძღვანელობა.

[51] Oberkommando der Marine – საზღვაო ძალების უმაღლესი სარდლობა.

[52] გერჰარდ ვაგნერი (1898-1987) – გერმანელი კონტრადმირალი და საზღვაო ოპერატიული შტაბის წევრი.

ხედვით, ჩვენი მდგომარეობა მოცემულ სიტუაციაში მართლაც რომ ჩინებული გამოსავალი იყო, თუმცა ფრონტის სიახლოვეში არტილერიის შიგადაშიგ გრუხუნი მუდმივად გვახსენებდა ერთ შემაშფოთებელ შეკითხვას: კიდევ რამდენი ხანიღა დაგვრჩენოდა?

16 აპრილის დილას საომარი ხმაურის ძალუმმა გაზრდამ რუსული მთავარი შეტევის დაწყება შეგვატყობინა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ამას ტელეფონი ან რადიო გამოაცხადებდა. დიონიცმა თავის შტაბს „ერთსაათიანი მზადყოფნა“ უბრძანა, რაც ნიშნავდა, რომ ბრძანების გაცემიდან ერთ საათში წასასვლელად მზად უნდა ვყოფილიყავით. „სიტუაციას “ რაიხის კანცელარიის ბუნკერში ახლა ყოველდღიურად ვეცნობოდით.

როცა 18 აპრილი ისე დაილია, რომ მტერს ჯერ კიდევ ვერ მიეღწია გარღვევისთვის. კვლავ ხმამაღლა გაისმა იმედიანი შეძახილები. გავიგე კაიტელმა როგორ გაიხსენა „ძველი გამოთქმა თავისი გამოცდილებიდან“, რომ თუ შეტევა მესამე დღისთვის წარმატებას ვერ მიაღწევდა, ის დამარცხდებოდა. ამ და სხვა დამამშვიდებელი სიტყვების მიუხედავად, 19 აპრილის საღამოს დიონიცი ჩემთვის გაუგებარმა აფორიაქებამ მოიცვა. მას შემდეგ, რაც მას დასაძინებლად დავემშვიდობე, მალევე დამირეკა: „რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი. 23:30 საათზე გავდივართ“. საათს შევხედე: სადღაც ერთი საათი გვქონდა. ფიცხლად, მაგრამ სრული წესრიგით დავტოვეთ ჩვენი სამყოფელი წინასწარ მომზადებული ბრძანებების საფუძველზე და ზუსტად 23:30 საათზე – რუსების გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე – მანქანების მომცრო კოლონა უკვე ქვემეხის გრუხუნითა და ძრავების გუგუნით, სროლებით, აფეთქებებითა და პროჟექტორებით გამოცოცხლებულ ღამეს მიარღვევდა. მიზანი იყო ბერლინ-დალემი, რომელსაც 20 აპრილის დადგომისთანავე მივაღწიეთ. აქ, დიონიცის მითითებით, მისი სამსახურებრივი ბინა სათადარიგო სამეთაურო პოსტად გადავაწყვე. შტაბი იყო თვითონ სახლში, ხოლო სასიგნალო შენაერთი გვერდითა შენობაში. მოტორიზებული რადიოსადგური, ზოგიერთი სატელეფონო და ტელექსის კავშირი და პატარა კერძო ბუნკერი, რომლის დერეფნები უკვე მეზობელი სახლების მაცხოვრებლების მიერ იყო დაკავებული, სრულიად გვიხატავდა კრიგსმარინეს სახელდახელო შტაბის სურათს. 20 აპრილის ნაშუადღევს – ჰიტლერის დაბადების დღეზე – დიონიცს კვლავ გავყევი რაიხსკანცელარიაში. ბოლოჯერ ვნახე ფიურერი ასე ახლოდან. სრულიად შემთხვევით მაშინ შევედი ბუნკერში, როცა ჰიტლერმა ამ დღეს პირველად დატოვა თავისი ოთახი და იმ ადამიანების მოკლე რიგის მარცხენა ფრთაზე აღმოვჩნდი, რომელსაც მისთვის დაბადების დღის მილოცვა სურდა. ამის შემდეგ კი მდგომარეობის მოხსენების ჩაბარებისას მომეცა შესაძლებლობა, მას შეუზღუდავად დავკვირვებოდი: მისი საუბარი და თვალები ისეთივე მეტყველი იყო, როგორც ყოველთვის. მისი მენტალური შესაძლებლობები არსად არ იყო გამქრალი. ის ნამდვილად არ იყო „შეშლილი“, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, თუმცა ფიზიკურად ის ნაგვემი და გატეხილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა: ის იყო გასივებული, მოხრილი, დაუძლურებული და ნერვიული ამ დღეს შეიყვანა ჰიტლერმა ჩრდილოეთ რეგიონის დაცვის ბრძანება ძალაში, რომლითაც დიონიცმა მიიღო ტერიტორიული, მაგრამ არა ოპერატიული ძალაუფლება ამ არეალში. მას ახლა შეეძლო სა-

მოქალაქო უწყებების გაკონტროლება, მაგრამ მას არ ეკითხებოდა სამხედრო ფრონტებზე ომის წარმოება.

21 აპრილს, ნაშუადღევს შედგა ჰიტლერისა და დიონიცის უკანასკნელი შეხვედრა. ქალაქის ცენტრალური ნაწილი უკვე რუსული არტილერიის ცეცხლის ქვეშ იყო. ბერლინის სრულიად ალყაში მოქცევის უშუალო საფრთხის გამო დიონიცი საკუთარი დავალების შესასრულებლად იქნა გაგზავნილი. თავად მე ქვეყნის მეთაურთან ამ ბოლო შეხვედრას ვერ დავესწარი, რადგან ჩრდილოეთში გასამგზავრებელ სამზადისს ვხელმძღვანელობდი. საჰაერო მდგომარეობის ფრთხილი განხილვის შემდეგ გასასვლელად საუკეთესო დროდ 22 აპრილის 02:00 საათი შეირჩა. მზადება საჰაერო თავდასხმის სირენების თანხლებით დავასრულეთ. როცა დავიძარით, შედარებით სიმშვიდე სუფევდა. გარშემოვლებულ რკალში დარჩენილი უკანასკნელი ნაპრალის გავლით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დავტოვეთ რაიხის დედაქალაქი. ნელა მივიწევდით წინ. საკონტროლო პუნქტები, საცობები და თითქმის ყველა სოფელში ჩალაგებული ბარიკადები მგზავრობას აყოვნებდნენ. არაერთხელ მოგვიწია შეჩერება მტრის გამანადგურებელ-ბომბდამშენთა გამოჩენის გამო, თუმცა კოლონაზე პირდაპირი თავდასხმა მათ არ განუხორციელებიათ. მოკავშირე პილოტები იქვე ახლოში ყოველთვის უკეთეს სამიზნეებს ნახულობდნენ ხოლმე. თან ისინი ძირითადად მთავარ გზებს მიყვებოდნენ, რომლებსაც ჩვენ ზუსტად ამ მიზეზით ვარიდებდით თავს. რაც უფრო ჩრდილოეთით მივდიოდით, უფრო მეტად ვაწყდებოდით ლტოლვილთა რიგებსა და უკანდახეულ ვერმახტის კოლონებს. თუ პირველნი, თავიანთი უბედურების მიუხედავად, მაინც ერთიანი და კარგად ორგანიზებული დაჯგუფებების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ჯარისკაცებსა და შტაბებში არსებული ქაოსი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა. თუმცა ყველას ერთნაირად ეწერა სახეზე ამ გადასახლების მთავარი მამოძრავებელი ძალა – შიში.

22 აპრილის თითქმის შუადღეს მივაღწიეთ ჩვენს სამიზნეს: ახალ შტაბს პლიონში, ჰოლშტაინში. პლიონის ტბისპირას რამდენიმე ყაზარმა იყო გამოთავისუფლებული დიონიცისა და მისი შტაბისთვის. უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში აქ მყოფი SKL-ის კარგად მოწყობილი სასიგნალო აპარატის წყალობით, ჩვენ გაგვაჩნდა საკაბელო და რადიოკავშირი ჩრდილოეთის ყველა სამეთაურო პოსტსა და სხვა ჯერ კიდევ არსებულ პოზიციებთან. ჩვენი სასიგნალო რაზმის მეშვეობით, დროებით ბერლინსა და სამხრეთ რეგიონთანაც გვქონდა კავშირი.

ზუსტად აქ, პლიონში, აღზევდა დიონიცი რამდენიმე დღეში თავისი მკვეთრად შეზღუდული არეალიდან მთელი რაიხის მმართველის პოსტამდე. მეც მეორე მსოფლიო ომისა და მესამე რაიხის უკანასკნელი დღეები მომხდარის ეპიცენტრში ყოფნისას გადავიტანე. პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ამ მოკლე, თუმცა თავგადასავლებით აღსავსე პერიოდში გერმანიის ბედ-იღბალს წარმართავდნენ – დიონიცს, შვერინს[53], კაიტელსა და იოდლს – ზოგს სამუდამოდ, ზოგს კი დროებით მიესაჯა მდუმარება. ყველა ფაილი, დოკუმენტი და პი-

[53] ლუც გრაფ შვერინ ფონ კროზიკი (1887-1977) – რაიხის ფინანსთა მინისტრი.

რადი ჩანაწერიც კი ჩამოგვერთვა, რის გამოც ისინი გერმანული საზოგადოებისთვის მიუწვდომელია განუსაზღვრელი ვადით.

ამის გამო ამ მნიშვნელოვან პერიოდზე აქამდე გამოსული ნაშრომები შემოიფარგლებიან მოწინააღმდეგის გადმოცემებით, ნაკლული და ნაწილობრივ ცალმხრივად მოძიებული წყაროებით, არაოფიციალურად კი ცალკეული მემუარებით, მონაყოლით, ვარაუდებითა და მთელი რიგი ყალბი და დამახინჯებული ამბებით.

ამიტომ მე თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ შემოვინახო ჩემი ცოდნა გერმანიის ისტორიის იმ მცირე მონაკვეთის შესახებ, რომელშიც მე მართალია არ ვიღებდი მონაწილეობას, თუმცა მუდმივად ვისმენდი და ვიმახსოვრებდი, რაც ხდებოდა. ამას ვაკეთებ იმათთვის, ვინც ამ უფრო და უფრო აჩქარებულ დროში კვლავ ხედავენ საჭიროებას, რომ გაარკვიონ, თუ რეალურად რა მოხდა გერმანიის დაცემის დღეებში.

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
კონსტანტინე მეგრელიშვილმა

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **Breuer 2000:** Breuer William, Top Secret Tales of World War II, Trade Paper Press, 2000;
- **Plischke 1947:** Plischke Elmer, Denazification Law and Procedure, The American Journal of International Law, Vol. 41. № 4 (Oct. 1947), pp. 807-827;
- Lüdde-Neurath Walter, Regierung Dönitz: Die letzten Tage des dritten Reiches, Dürrer-Verlag, Buenos Aires, 1951;
- Lüdde-Neurath Walter, Unconditional Surrender: A Memoir of the Last Days of the Third Reich and the Dönitz Administration, trans. Geoffrey Brooks, Naval Institute Press, Annapolis, 2010;
- Tagebuch Regierung Dönitz (Korvettenkapitän Walter Lüdde-Neurath), RM 6/375 in Bundesarchiv, https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/XVYN2O5CU2SJMOUEVSEMDV5FP6BGBK6C (ბოლოს დამოწმებულია 22.01.2023, წიგნის სანახავად საჭიროა რეგისტრაციის გავლა).